საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე ,,ქ. თბილისი, ერისთავის ქუჩა №4-ში, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებულიო საინIნრო გეოლოგიური კვლევის შედეგები".

შ.პ.ს. ,,ჯი ი სი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის თებერვალში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ერისთავის ქუჩა №4-ში, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ერისთავის ქუჩა №4-ში, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. ,,ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2016 წლის ოქტომბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ გეოლოგი მ. ყიფშიძე. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული თიხური გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევები, ხოლო კლდოვანი გრუნტების თვისებები გამოკვლეულია გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 9გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. მიწერილობა---------- 1გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 2გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით---------- 4გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 2ფურც
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 6ფურც

პროექტით საკვლევ უბანზე უნდა აშენდეს 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, 2 მიწისქვეშა სართულით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 5 ჭაბურღილი. საერთო სიგრძით 79.3 მეტრი. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა

ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი , ხრეშის ჩანართებით 10%-მდე;
3. ფენა 3 – კენჭნარი, თიხნარის 20 %-მდე შემავსებლით
4. ფენა 4 – ძირითადი ქანი – ძლიერ გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა;
5. ფენა 5 – ძირითადი ქანი – გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების (გარდა ნაყარი გრუნტისა) საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. თიხური ქანების გამოკვლევა ჩატარდა მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ხოლო კლდოვანი ქანები გამოკვლეული იქნა აკადემიკოს გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 7.6-8.9 მ. სიღრმეზე (დამყარებული დონე 7.3-8.6 მ). წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ერისთავის ქუჩა №4-ში, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
პროფესორი გ. ჭოხონელიძე